თავი III
საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი და სახელმწიფო ვალი

მუხლი 13. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი

განისაზღვროს საქართველოს 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის ზღვრული მოცულობა 365 526,7 ათასი ლარის ოდენობით.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების
წყაროები 2005–2007 წლებში

ათას ლარებში

	2005 წლის ფაქტი	2006 წლის ფაქტი	2007 წლის გეგმა
სულ დეფიციტის დაფინანსება	**10 689,9**	**49 309,6**	**365 526,7**
საგარეო წყაროები	**127 435,8**	**172 692,6**	**166 181,7**
მსოფლიო ბანკის კრედიტი	23 898,8	35 285,9	33 800,0
საინვესტიციო კრედიტები	103 537,0	137 406,7	132 381,7
საშინაო წყაროები	**-116 745,9**	**- 123 383,0**	**199 345,0**
ფასიანი ქაღალდების გამოშვება(+)/დაფარვა(-)	-32 011,0	-20 360,0	
წინა წელს გამოუყენებელი საბიუჯეტო სახსრების დაბრუნება	3 537,8	1 512,9	
თავისუფალი საბრუნავი სახსრები გამოყენება(+)/დაგროვება(-)	-88 272,7	-104 534,9	199 345,0

მუხლი 14. თავისუფალი საბრუნავი სახსრები

2007 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი დაფინანსდეს 2007 წლის 1 იანვრისათვის არსებული თავისუფალი საბრუნავი სახსრებით, 199 345.0 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 15. მსოფლიო ბანკის გრძელვადიანი კრედიტი

2007 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი დაფინანსდეს ბიუჯეტის დეფიციტის შესავსებად მსოფლიო ბანკის მიერ გამოსაყოფი გრძელვადიანი, შეღავათიანი კრედიტით, 33 800.0 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 16. გრძელვადიანი საინვესტიციო კრედიტები

2007 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი დაფინანსდეს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და უცხო ქვეყნების მთავრობების მიერ

საქართველოს მთავრობისათვის გამოსაყოფი გრძელვადიანი საინვესტიციო, შეღავათიანი კრედიტებით, 132 381.7 ათასი ლარის ოდენობით.

გრძელვადიანი საინვესტიციო კრედიტები

ათას ლარებში

	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	2005 წლის ფაქტი	2006 წლის ფაქტი	2007 წლის გეგმა
1	სასამართლო რეფორმის პროექტი	222,0	846,9	
2	მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის II პროექტი	13 197,9	16 474,3	2 600,0
3	სოციალური ინვესტიციების I პროექტი	4 180,8	1 441,4	70,0
4	სოციალური ინვესტიციების II პროექტი	11 406,6	26 782,9	4 700,0
5	სტრუქტურული რეფორმების მხარდამჭერი პროექტი	243,2	4 307,6	3 500,0
6	ფოთის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია			2 400,0
7	ქუთაისის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია			
8	ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია			1 868,7
9	ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტი	7 464,4	14 356,5	11 100,0
10	შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების პროექტი	3 061,1	9 907,0	18 800,0
11	საავტომობილო გზების პროექტი	859,7	280,4	
12	გზების რეაბილიტაციის პროექტი	3 036.2	1 207.4	
13	კერძო საწარმოთა რეაბილიტაციის პროექტი	1 552,2	1 186,8	
14	ფოთის საზღვაო ნავსადგურის დამცავი მოლოს რეაბილიტაცია	1 691,5	4 882,2	6 500,0
15	აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო მაგისტრალი I			19 000,0
16	აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო მაგისტრალი II			
17	მიწის კადასტრისა და რეგისტრაციის სისტემის ჩამოყალიბება – I პროექტი	3 959,3	2 290,4	1 800,0
18	მიწის კადასტრისა და რეგისტრაციის სისტემის ჩამოყალიბება – II პროექტი	3 674,6	1 418,0	820,0
19	საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი	12 384,8	6 873,2	5 700,0
20	საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი – APL2			
21	სტრუქტურული რეფორმების მხარდაჭერის პროექტის საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის კომპონენტი	1 103,6	2 311,1	316,5
22	პირველადი ჯანდაცვის განვითარების პროექტი	5 515,7	11 012,5	4 472,0
23	ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და მასზე რეაგირების კომპონენტი (საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კომპონენტი)			388,0
24	საბითუმო ბაზრის მხარდამჭერი პროექტი	15 595,4	9 504,4	10 500,0
25	ვარციხის ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაცია	382,1		
26	ლაჯანურჰესისა და ხრამჰესის რეაბილიტაცია	909,5	4 301,9	2 400,0
27	ენერგომატარებლების ტრანზიტის ინსტიტუციური აღმშენებლობის პროექტი	3 931,3	1 392,9	2 400,0
28	რეგიონალური ელექტროქსელის რეაბილიტაცია – I პროექტი (ალავერდი)		230,6	340,0
29	ენერგოგამანაწილებელი სისტემის რეაბილიტაცია – I პროექტი		9 731,8	10 500,0
30	ელექტრომომარაგების სექტორული პროგრამა		478,0	1 545,0
31	ენგურის ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაციის პროექტი (EBRD)			12 100,0
32	სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტი	1 137,5		

33	სოფლის განვითარების პროექტი	899,1	909,7	2 409,0
34	სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების პროექტი	1 949,2	764,3	2 171,0
35	მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების განვითარების პროგრამა	903,4	240,0	98,5
36	ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და მასზე რეაგირების კომპონენტი (საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს კომპონენტი)			213,0
37	სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის პროექტი	1 108,5	1 590,4	670,0
38	სატყეო სექტორის განვითარების პროექტი	3 167,4	2 684,3	3 000,0
	სულ	103 537,0	137 406,7	132 381,7

მუხლი 17. საქართველოს სახელმწიფო ვალის საპროგნოზო ზღვრული მოცულობა

განისაზღვროს საქართველოს სახელმწიფო ვალის საპროგნოზო ზღვრული მოცულობა 2007 წლის ბოლოსათვის არა უმეტეს 4 505.3 მლნ ლარით, მათ შორის, სახელმწიფო საგარეო ვალისა – 3 015.3 მლნ ლარით, ხოლო სახელმწიფო საშინაო ვალისა – 1 490.0 მლნ ლარით.

მლნ ლარებში

№	კრედიტორი	ვალის ნაშთი 2007 წლის ბოლოსათვის
სულ საგარეო ვალები		**3 015.3**
	მრავალმხრივი კრედიტორებისაგან:	**2 106.5**
1	მსოფლიო ბანკი, განვითარების საერთაშორისო ასოციაცია	1 487.5
2	ევროგაერთიანება	143.3
3	სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი	20.7
4	საერთაშორისო სავალუტო ფონდი (მიმღები - ეროვნული ბანკი)	415.0
5	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი	40.0
	ორმხრივი კრედიტორებისაგან:	**885.4**
1	ავსტრია	3.1
2	აზერბაიჯანი	23.9
3	თურქმენეთი	7.1
4	თურქეთი	78.6
5	ირანი	18.7
6	რუსეთი	199.0
7	სომხეთი	28.9
8	უზბეკეთი	0.6
9	უკრაინა	0.6
10	ყაზახეთი	45.8
11	გერმანია	286.4
12	იაპონია	88.5
13	კუვეიტი	23.8
14	ნიდერლანდები	14.8
15	ამერიკა	65.7

	სახელმწიფო გარანტიით აღებული კრედიტები	**23.4**
1	გერმანია	7.3
2	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი	16.1
სულ საშინაო ვალები		**1 490.0**
1	საქართველოს ეროვნული ბანკისათვის განკუთვნილი ერთწლიანი, ყოველწლიურად განახლებადი სახელმწიფო ობლიგაციები	736.9
2	სხვადასხვავადიანი სახელმწიფო ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისათვის	76.0
3	ე. წ. ისტორიული ვალები *	677.1
სულ სახელმწიფო ვალი		**4 505.3**

შენიშვნა: * – საორიენტაციო მოცულობა.